KA021752259100318


სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო

NATIONAL AGENCY OF STATE PROPERTY

თბილისი 0179, ი.ჭავჭავაძის გამზ.49ა
ტელ:(+995 32)2 98 11 11
info@nasp.gov.ge

49a I.Chavchavadze avenue, 0179 Tbilisi,Georgia
Tel: (+995 32)2 98 11 11
info@nasp.gov.ge


**N4/40891** 19 / ივლისი / 2018 წ.

**შპს „სამედიცინო ინოვაციების ცენტრს“ (ს/კ: 405062523)**
**დირექტორი: გია საგანელიძე (პ/ნ: 01008006728)**
**მის.: ქ. თბილისი, ატენის ქუჩა N18ა, ბინა N43**
**მის.: ქ. თბილისი, შროშის ქუჩა N1, ბ N41**
**ტელ.: +995551502804**

თქვენი 2018 წლის 3 აპრილის განცხადების (სააგენტოში რეგისტრაციის ნომერი 34694/ფ) პასუხად სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო (შემდგომში „სააგენტო“) გაცნობებთ, რომ თქვენი მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით, საქართველოს მთავრობის სხდომაზე განსახილველად, სააგენტოს მიერ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარედგინა საქართველოს მთავრობის შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომელიც განუხილველად დაბრუნდა სააგენტოში.

აღნიშნულის გათვალისწინებით სააგენტო გაცნობებთ, რომ სააგენტოსა და შპს „სამედიცინო ინოვაციების ცენტრს“ (ს/კ: 405062523, შემდგომში: მყიდველი/კომპანია) შორის 2015 წლის 26 მარტს დადებული ხელშეკრულების (შემდგომში „ხელშეკრულება“) 3.1.1 და 3.1.2 მუხლებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისათვის განგისაზღვრავთ დამატებით ვადას, არაუგვიანეს 2019 წლის 26 ივლისისა. აქვე გაცნობებთ, რომ დამატებითი ვადა არ აჩერებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს დაკისრებას.

აქვე შეგახსენებთ, რომ ხელშეკრულების 6.8 მუხლის თანახმად, მყიდველის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების განმეორებით (დამატებით ვადაში) შეუსრულებლობის და/ან დაწესებულ ვადაში პირგასამტეხლოს გადაუხდელობის შემთხვევაში სააგენტოს უფლება აქვს ცალმხრივად მოშალოს ხელშეკრულება. ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის შემთხვევაში ქონება ბრუნდება სახელმწიფო საკუთრებაში. მყიდველს არ აუნაზღაურდება გადახდილი თანხები და გაწეული დანახარჯები, ხოლო ქონებაზე რეგისტრირებული მესამე პირის (პირთა) იპოთეკის უფლება (უფლებები) უქმდება.

ამასთან, გთხოვთ არაუგვიანეს 2018 წლის 26 ივლისისა საპრივატიზებო პირობების შესრულების (მათ შორის, მათი დარღვევისათვის შესაბამისი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს გადახდის) უზრუნველსაყოფად, წარმოადგინოთ ხელშეკრულების 3.1.2 მუხლით განსაზღვრული ინვესტიციის არანაკლებ 10%-ის ოდენობის ვადაგაზრდილი ან ახალი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია, რომლის მოქმედების ვადაც განისაზღვრება 2019 წლის 29 ნოემბრის ჩათვლით. ასევე, გთხოვთ სააგენტოსა და მყიდველს შორის 2015 წლის 26 მარტის ნასყიდობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შედეგად, ამავე ხელშეკრულების მოშლის და მის საფუძველზე გადაცემული უძრავი ქონების სახელმწიფო საკუთრებაში დაბრუნების შემთხვევაში, № 01.13.01.010.089 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე მდებარე № 1 და № 2 შენობა-ნაგებობების დემონტაჟის საფუძველზე სახელმწიფოს მიმართ დამდგარი ზიანის ანაზღაურების უზრუნველსაყოფად, არაუგვიანეს 2018 წლის 26 ივლისისა წარმოადგინოთ 150 118.16 ლარის ოდენობის ვადაგაზრდილი ან ახალი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია, რომლის მოქმედების ვადაც განსაზღვრული უნდა იყოს არანაკლებ 2019 წლის 29 ნოემბრის ჩათვლით. დამატებით გაცნობებთ, რომ მოცემულ ვადაში აღნიშნული გარანტიების წარმოუდგენლობის შემთხვევაში სააგენტო უფლებამოსილია ცალმხრივად მოშალოს ხელშეკრულება. ამ შემთხვევაში, მყიდველს არ აუნაზღაურდება მის მიერ გაწეული დანახარჯები და გადახდილი თანხები.

ხელმოწერილია/

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე

ელექტრონულად

ეკატერინე სისაური